აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი №1

აბაშა, 2023 წლის 24 თებერვალი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა
(ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომა დაიწყო: 12:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გია კუცია.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: იაგო თოდუა, გენო მიმინოშვილი, კახა ცანავა, პროკოფი ნიკურაძე, ბაქარ შელია.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დიმიტრი ვერულაშვილი, კოხტა მელია, კოკი ჩაჩავა.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

   მომხს: გ. კუცია

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

ადმინისტრაციული წარმოების დასახელება:

აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტის განხილვა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გ. კუციამ განმარტა, რომ კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ბ. შელიამ

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) აბაშის მუნიციპალიტეტის აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიამ

დაადგინა:

დადგენილების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 24 თებერვალს 13 საათზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გ. კუცია